სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ქართველური ენათმეცნიერება / Kartvelian Linguistics

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე
პროგრამის კონსულტანტი - ემერიტუსი დამანა მელიქიშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი:

- ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაა. ქართული და სხვა ქართველური ენები (სვანური, მეგრული და ლაზური) უაღრესად საინტერესოა ლინგვისტურად, რის გამოც აღნიშნული ენობრივი ჯგუფი ყოველთვის იყო ქართველ და უცხოელ ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში. ამ ენების მომავალ სპეციალისტთა აღზრდისათვისაა დანიშნული წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა.
- სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც განათლება ენათმეცნიერულ დარგებში აქვთ მიღებული და სურთ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია ქართული ფილოლოგიის, კერძოდ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის, ძველი ქართული ენის, ქართველური (სვანური, მეგრული, ლაზური) ენებისა და დიალექტების კვლევისა და სწავლების სფეროში; ქართულის როგორც მეორე (ან უცხო) ენის სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში
- პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს აღნიშნული ენების კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, დოქტორანტებს არჩეული მიმართულების შესაბამისად საფუძვლიანად შეასწავლოს ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, მისცეს ქართველური ენების პრაქტიკული ცოდნა; გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრონციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები, მშობლიური ენისა და მეორე ენის სწავლების თანამედროვე თეორიები; გაუღრმაოს ცოდნა აღნიშნულ დარგებში და მეცნიერული კვლევის უნარი.
- სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების სპეციალობის მკვლევარ ფილოლოგთა და უმაღლესი სასწავლებლების კვალიფიციური ლექტორების მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.
- სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, რომლის სამეცნიერო თემატიკა შემდეგი საკითხებისაგან შედგება: ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ფონეტიკა, ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების გრამატიკა, ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ლექსიკა, ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, ქარული ენის ისტორიული გრამატიკა.

ბ) პროგრამის შედეგები:

- დოქტორანტურის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას მოამზადოს სალექციო კურსები არჩეულ სპეციალობაში.
- ლინგვისტურად შეისწავლოს, გამოიყენოს და თვითონაც მოამზადოს გამოსაცემად ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ტექსტები, სალექსიკონო მასალები.
- კურსდამთავრებულს საფუძვლიანად ეცოდინება ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თვისებურებანი, შეძლებს აღნიშნული ენებისა და დიალექტების ლინგვისტურ ანალიზს, ტექსტის ენობრივად გამართვას, კონკრეტული ენისა თუ

დიალექტის შესახებ ლინგვისტური გამოკვლევის დაწერას, შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად დაეუფლოს ქართველურ ენებს.

- ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს ლიტერატურული, დიალექტური ტექსტები და ლექსიკონები.
- დოქტორანტი შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას, ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში - ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში.
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში.
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში.
- საქართველოს არქივებში.
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემეორიალურ მუზეუმებში.
- საგამომცემლო ორგანიზაციებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ფილოლოგიის დარგში.
- დოქტორანტურაში ჩამბარებელს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ.
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.
- დოქტორანტურაში ჩამბარებელს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა შესაბამის დონეზე.

სასწავლო კომპონენტი:

სასწავლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, აქედან 120 კრედიტი გათვალისწინებულია სადოქტორო შრომისათვის, 60 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისათვის.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები	**კრედიტები**
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5
დოქტორანტის კოლოკვიუმი I	5
დოქტორანტის კოლოკვიუმი II	5
პროფესორის ასისტენტობა	15
მეცნიერების მენეჯმენტი	5
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	25
	სულ 60
ასევე შესაძლებელია სტუდენტს უღიარდეს:	
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი;	5-30

საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	5-15

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:

1. ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტი.
2. ძველი ქარული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტი.
3. ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრი.
4. ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი «ორიონი».

პროგრამაზე მისაღები დოქტორანტის რაოდენობა
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 10 დოქტორანტის მიღება.

9. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:
1. სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე
2. სრული პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი
3. ემერიტუსი დამანა მელიქიშვილი
4. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი
5. ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე
6. ასოცირებული პროფესორი მერი ნიკოლაიშვილი
7. ასოცირებული პროფესორი სალომე ომიაძე
8. ასოცირებული პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
9. ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია
10. ასოცირებული პროფესორი მაია ლომია
11. ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული